



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მგელაძე აკაკი ივანეს ძე

მგელაძე აკაკი ივანეს ძე (1910, სოფ. მელექედური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, - 1980, ოზურგეთი), საბჭოთა პარტიული მოღვაწე, საქ. სსრკ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1952-53), სსრკ კომპარტიის ცკ-ის წევრი (1952-53). იყო საქ. სსრ კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი (1934-37), სსრკ კომკავშირის ცკ-ის ახალგაზრდული განყ-ბის გამგე (1937-38). 1938 დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაამართლეს. 1938-42 ტრესტ „საქნავთობის“ მმართველია, 1942-43 - ამიერკავკ. ფრონტის შტაბის სამმართველოს სამხ. კომისარი, ბატალიონის უფრ. კომისარი, ამიერკავკ. ფრონტის შტაბის უფროსის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი, 1943-51 - საქ. სსრ კომპარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხ. საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (განახორციელა სოხუმის განაშენიანების სამუშაოები), 1951-52 - საქ. სსრ კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1951-53 იყო საქ. სსრ კომპარტიის ცკ-ის ბიუროს შემადგენლობაში. როგორც ი. სტალინის გარემოცვის წევრი, კურირებდა ლ. ბერიას წინააღმდეგ წამოწყებულ „მეგრელების საქმეს“. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მ. თანამდებობიდან გადააყენეს, გარიცხეს სსრკ კომპარტიის ცკ-იდან და კომპარტიის რიგებიდან, შემდეგ დააპატიმრეს. ბრალდებები მოუხსნეს ლ. ბერიას დაკავების შემდეგ.

1953-73 იყო სოფ. ბებნისის (ქარელის მუნიციპ.) საბჭ. მეურნეობის დირექტორი, 1973-78 - საქ. სსრ საბჭ. მეურნეობების ტრესტის მმართველი, საქ. სსრ აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავ-რე და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.
